

## საოპერაციო და ანალიზური პერიოდები


ორის ბულეტენში არსებობს „საოპერაციო/ანალიზური პერიოდი“. საოპერაციო და ანალიზური პერიოდის დასაყენებლად უნდა დააჭიროთ ღილაკზე:



ეკრანი გაყოფილია ორ ნაწილად „საოპერაციო პერიოდი“ და „ანალიზური პერიოდი“, ასევე ამ ეკრანის თავში მითითებულია მომხმარებელი, რომლითაც შესული ხართ სისტემაში. განვიხილოთ საოპერაციო პერიოდი. როგორც სათაურიდან გამომდინარეობს ეს ის პერიოდი, რომელშიც უშუალოდ გსურთ საბუღალტრო ოპერაციების დამატება, ნაშლა კორექტირება ანუ ოპერაციების თარიღი უნდა ხვდებოდეს საოპერაციო პერიოდის დიაპაზონში, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა არ მოგცემთ ამ ოპერაციებზე ზემოქმედების საშუალებას.


საოპერაციო პერიოდი შესაძლებელია იყოს „ფიქსირებული“, „დინამიური“, „შეუზღუდავი“ და „განყოფილებიდან“

ფიქსირებული პერიოდი დასაყენებლად დადებით ბარათზე „ფიქსირებული“ შეგიძლიათ ხელით მიუთითოთ სასურველი თარიღები თარიღის ველში


ან დააჭიროთ ღილაკს  იხილავთ ეკრანს:


ღილაკზე „სრული პერიოდი“ დაჭერით თარიღის პირველ ველში მიეთითება სასტარტო ნაშთების თარიღის შემდეგი დღე, ხოლო ველში „- მდე“ პროგრამაში


შესრულებული ოპერაციის ბოლო თარიღი. შეგიძლიათ ასევე მიუთითოთ სასურველი წელი, კვარტალი, თვე ან დღე. ამ შემთხვევაში მონიშნეთ წელი მიუთითეთ „2021“ და დააწკაპეთ ღილაკს „OK“ .




თუ ეკრანს დაიმახსოვრებთ ამ მდგომარეობაში, მაშინ ოპერაციების დამატება, კორექტირება და ნაშლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 01.01.2021\_დან 01.01.2022\_მდე დიაპაზონში.


განვიხილოთ „დინამიური“ საოპერაციო პერიოდი . გადადით ბარათზე დინამიური, ჩამოშალეთ ჩამოშლადი მენიუ ღილაკზე  დაწკაპებით.




აქედან შეგიძლიათ აირჩიოთ: მიმდინარე დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმდინარე პერიოდის დიაპაზონში მოქცეული თარიღებით შეძლებთ ოპერაციების დამატებას, კორექტირებას ან ნაშლას . თუ აირჩევთ ჩანაწერს „პროგრამირებადი პერიოდი“ შეგიძლიათ თქვენ თვითონ დააფორმიროთ საოპერაციო პერიოდი. აირჩიეთ ჩანაწერი „პროგრამირებადი პერიოდი“ და დააჭირეთ ღილაკს , იხილავთ ეკრანს:



ჩამოშალეთ ველი „მაგალითები:“



და მოცემული მაგალითების მიხედვით ააწყვეთ პროგრამირებადი საოპერაციო პერიოდი. მაგ: ავირჩიოთ ჩანაწერი „კვირის სამუშაო დღეები“



მითითებული პროგრამირებადი პერიოდის დასამახსოვრებლად დააჭირეთ ღილაკს „OK“ . დავხუროთ ეკრანი.


თუ დადგებით ბარათზე „შეუზღუდავი“ და ისე დავიმახსოვრებთ ეკრანს „საოპერაციო/ანალიზური პერიოდი“, მაშინ შესაძლებელი იქნება ნებისმიერი თარიღის ოპერაციის დამატება, კორექტირება და წაშლა.

თუ დადგებით ბარათზე „განყოფილებიდან“ და ისე დავიმახსოვრებთ ეკრანს „საოპერაციო/ანალიზური პერიოდი“, მაშინ საოპერაციო პერიოდს სისტემა აიღებს , **ადმინისტრირება/უფლებები/საოპერაციო პერიოდი** ეკრანში მითითებულ პერიოდს, იმ განყოფილების პერიოდს , რომელშიც არის ეს კონკრეტული მომხმარებელი. დავბრუნდეთ ბარათზე „ფიქსირებული“..

განვიხილოთ ანალიზური პერიოდი: ანალიზური პერიოდი გამოიყენება უკვე შესრულებული საბუღალტრო ოპერაციების ანალიზისათვის. ანალიზური პერიოდი შეიძლება მოიცავდეს არა საოპერაციო პერიოდსაც. სისტემა ანალიზური პერიოდის მიხედვით გაჩვენებთ ოპერაციებს და მათგან გამომდინარე შედეგებს, რათა შეძლოთ ანალიზის ჩატარება ამ პერიოდის მონაცემებზე. თუ ოპერაციის თარიღი ცდება საოპერაციო პერიოდს მასზე გემოქმედებას ვერ მოახერხებთ.

„ანალიზური პერიოდი“ ბრუნვის პერიოდის ყველა ფორმის გახსნისას იქნება მითითებული ანალიზური პერიოდი(პერიოდი განისაზღვრება თარიღიდან თარიღამდე ) ხოლო ნაშთის თარიღის მქონე ყველა ფორმის გახსნისას იქნება მითითებული ანალიზური პერიოდის ბოლო თარიღის წინა დღე .

ანალიზური პერიოდის თარიღები შეგიძლიათ ხელით მიუთითოთ ან გამოიყენეთ

ღილაკი 

იმისათვის რომ თქვენს მიერ შეტანილი ცვლილებები აღიქვას სისტემამ დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“